მეტად ხელსაყრელ ადგილას – ლემანის ტბასთან (საფრანგეთი) მდებარე ეს საცხოვრებელი შეიქმნა ერთ საერთოულზე არსებული ორი ბინის შერწყმით, რომლებშიც სამედიცინო კაბინეტები იყო მოთავსებული. შედეგად მიღებული საცხოვრებელი იკავებს მთელ მესამე სართულს 1950-იანი წლების დროინდელ ოთხსართულიან სახლში.

ღია სივრცის კონცეფცია

ამ პროექტის განხორციელებისას ლუდოვიკ დიუპონმა მისთვის ხელმისაწვდომი სივრცე მთლიანობაში გაიაზრა. საცხოვრებლის დიზაინი ღია სივრცის კონცეფციას ემყარება: ყველა ზონა თავისუფალია და ვრცელი.

დიზაინის ხელოვნება თუ კონტრასტებით თამაში

მთელ საცხოვრებელში თეთრი და შავი ფერები ერთმანეთს ავსებს და უნიკალურ ერთობლიობას ქმნის. თეთრი ფერი მატებს ინტერიერს სინაზეს და სიკაშკაშეს. როგორც ჩანს დიზაინერმა კარგად იხალისა დომინანტი ფერების თამაშით.

კულინარული ტექნოლოგიების ნამდვილი მარგალიტია საცხოვრებელში არსებული სამზარეულო, სა-

დაც ყველა ზედაპირი პრიალა და თეთრია, ფორმები – ფუნქციონალური და ესთეტიური, აღჭურვილობა და მოპირკეთება – ძვირფასი.



STIPFOLD

ინტერიერის დიზაინი:
დიზაინერი: ბექა ფხაკაძე
ადგილმდებარეობა:
თბილისი / საქართველო
ტიპი:
საცხოვრებლის ინტერიერი
ფართობი: 370 კვ.მ.
წელი: 2018



ავტორისგან: პროექტი დიზაინი შეიქმნა ახალგზარდა დამკვეთისთვის, რომელსაც მოსწონს წვეულებები, ინტერიერში შედარებით მუქი ფერები, ხარისხიანი დეტალები და შთაბეჭდილების მოხდენა სტუმარზე. პროექტზე მუშაობისას ჩვენც შევეცადეთ რომ დამკვეთზე შთაბეჭდილება მოგვეხდინა არაორდინალური გადწყვეტილებებით, რაც მისი თქმით მოვახერხეთ და საკუთარი ოცნებების ასრულებაში მნიშვნელოვნად დავეხმარეთ. პირველადი გეგმარებისგან განსხვავებით, სივრცეებიი მაქსიმალურად გავაერთიანეთ, რათა ბინაში მოხვედრისთანავე შესაძლებელი ყოფი-

ლიყო სახლის მასშტაბურობის აღქმა. ამავე დროს შევეცადეთ, რომ მიუხედავად სახლის დიდი ფართობისა გეგმარება რაც შეიძლება მარტივი ყოფილიყო. პენტჰაუსს აქვს ორი დიდი ტერასა, რომელიც სამხრეთით უყურებს ვაკის პარკს და კუს ტბის მიმდებარე ტერიტორიას, ხოლო ჩრდილოეთ ხედი უფრო ურბანული ქალაქის ნაწილისკენაა მიმართული, რომლის შთაბეჭდაობა ღამე გაცილებით იზრდება. მასალები მცირე რაოდენობით არის შერჩეული და მრავალფეროვნებისთვის სხვადასხვა მეთოდებით არის გამოყენებული. მნიშვნელოვანი ნაწილი უჭირავს ასევე განათებას,





ჰოლის მეორე მხარეს მდებარეობს გასართობი და ბარის ოთახი. სივრცე დიდი ვიტრაჟით უერთდება მოზრდილ ტერასას. აღნიშნული ტერასა დავაგეგმარეთ ეზოს პრინციპით, აქ ვხვდებით გამწვანებულ კუთხეს, სასადილო მაგიდას, მცირე ზომის აუზს, გასარუჯ ზონასა და საშხაპეს.

მთავარ საძინებელში გარდერობის, სააბაზანო და საძილე ზონებია გაერთიანებული, რათა უფრო ეფექტური სივრცე შექმნილიყო. სამკუთხა ფორმის საშხაპე ოთახის შუაგულშია მოქცეული, აბაზანა კი მოზრდილ ვიტრაჟთან გადავიტანეთ, სადაც რელაქსაციის დროს ხედვით შეიძლება დატკობა.

პენტჰაუსში არის დამატებით ორი საძინებელი საკუთარი სველი წერტილით. იმედს ვიტოვებთ რომ პროექტი განხორციელების შემდეგ ბევრად ეფექტური გამოვა და მოხიბლავს სტუმრებს თავისი არაორდინალური გადაწყვეტილებებით.



რომლის მოვალეობაა რომ სივრცეებს დღის სხვადასხვა მონაკვეთში განსხვავებული დატვირთვა შესძინოს. ამისთვის ვიყენებთ ფერად ლედ განათებებს, რომელიც საშუალებას მოგვცემს, ოთახი სხვადასხვა ფერად გავანათოთ და წვეულების განწყობა შევქმნათ.

შესვლისთანავე ვხვდებით გამჭოლ ჰოლში, საიდანაც სტუმარს სახლის მნიშვნელოვან ნაწილზე აქვს ვიზუალური წვდომა. პირველ შთაბეჭდილებას ახდენს ნიკეს ქანდაკება, რომელიც სტილისტურად კონტრასტული ელემენტია ინტერიერში. შესასვლელი ჰოლიდან ვხვდებით საერთო ოთახის და სამზარეულოს სივრცეში მცირე ტერასით. სამზარეულოსთან ინტეგრირებულ საერთო ოთახში, ავეჯი დაბალია რადგან ხედზე წვდომას ხელი არ შეეშალოს. სამზარეულოს კუნძული და სასადილო მაგიდა უყურებს მოპირდაპირე კედელზე არსებულ ტელევიზორს, რომლის ქვემოთ გრძელი ბუხარია განთავსებული.





STIPFOLD

INTERIOR DESIGN

PROJECT LEADER: Beka Pkhakadze

COPYWRITER: Mika Motskobili

LOCATION: Tbilisi / Georgia

TYPE: Residential interior

AREA: 370 sq.m.

YEAR: 2018

STATUS: In Progress

From the author: A view on the city is available on the opposite ends of this penthouse via the large terraces. The spacious apartment, 200 sq. m, was designed to accommodate young owner's idea of having guests over for parties and socializing. The entrance branches out into two halls, through which an eye may catch a city landscape and nature. The left hall leads to the dining room, which is merged with the kitchen, with large windows to the terrace and is furnished with low furniture, so that a visitor may glance at a nature, uninterrupted. The left hall takes you to the other terrace though the bar. The terrace is mostly designated as an entertainment area with transparent pool, open shower and a garden.





We had a limitation in terms of materials, but spaciousness gave us more freedom of choosing darker colors for the interior.

A door in the entrance area enters the master bedroom via long see through wardrobe corridor. A bathroom is behind a glass partition and a bathtub sits in an open space, becoming a part of the bedroom. Two guest bedrooms and a bathroom are located near the bar.

RGB lighting and the light dimmers allow molding of an atmosphere so that it fits the mood.



სასტუმრო მუზეუმი



მდებარეობა: თბილისი, ვახტანგ ორბელიანის ქუჩა
ინტერიერის დიზაინი
ავტორები: ნინო მშველიძე, ნინო არზიანი

მოცემულ სივრცის ერთიანი ინტერიერული სახე - თანამედროვე დეკორის მოტივებით, მოცულობითი და პლასტიკური გადანწყვებებით, არქიტექტურული რითმებითაა მიღწეული. ყოველ შტრიხსა და ნიუანსში პროფესიონალიზმი და დახვეწილი გემოვნება ჩანს. თავისუფლად ფორმირებულ საზოგადოებრივ სივრცეში თითოეული ნიუანსი აქცენტირებულია და, როგორც განსაკუთრებული მოვლენა იპყრობს ყურადღებას. გეგმარების გადანწყვების ლაკონიზმი დიზაინის სტილის განმსაზღვრელი ხდება. სასტუმროს სივრცე, თითქოს შიგნიდანაა განათებული განსაკუთრებული, მისეული შუქით, რასაც ავტორთა მიერ შექმნილი დეკორატიული კომპოზიციების სინქრონი აღრმავებს. ინტერიერი ავტორების პიროვნულობის სავიზიტო ბარათია. იგი, ნინოების შემოქმედებითი კულტურის ერთ-ერთი მეტად მობილური ფორმაა, რომელიც მეტად ფაქიზად რეაგირებს ნებისმიერ ცვლილებაზე.

ნინო ლალიძე





MUSEUM HOTEL

Location: Vakhtang Orbeliani St, T'bilisi

Interior design

Authors: Nino Mshvelidze, Nino Arziani

Presented project are quite unusual for Georgian standards. They boast integral style based on mixture of modern and dynamic motives, spatial design solutions and architectural rhythms, the authors high professionalism and refined taste. In freely organized public interiors every object is accentuated and every bit of space surprises with its originality. Hotel's laconic planning solutions are counterbalanced by careful attention toward minor details, visualization of which eventually defines the design style. In each particular case the interior seems to be illuminated by special radiance, highlighted by accessories, decorative compositions, combination of natural and artificial lighting and much, much more...





საინტერესო და განსხვავებული



მდებარეობა: თბილისი, საბურთალოს რაიონი
 ფართობი: 100 კვ.მ.

წარმოდგენილი, ძალზედ საინტერესო და განსხვავებული საცხოვრებელი ინტერიერი დიზაინერმა თამარ კიკელიძემ შექმნა. მოცემული სივრცე კლასიკურ სტილშია გადამწყვეტილი, თუმცა ამავე დროს თანამედროვე ელემენტებსაც მოიცავს. აქ, ორიგინალური კომპოზიციების, დიზაინერული ნაკეთობების, აქსესუარების გადანაწილება განსაზღვრულ კანონზომიერებებს ემორჩილება და მნიშვნელოვნად განსაზღვრავს მის საერთო ატმოსფეროს. მთლიანი სივრცე საინტერესო თემებითაა სავსე და მის ორგანიზებაში სწორედ ეს გახდა მთავარი მხატვრული პრინციპი.

ფოტო: რაფო არზუმანოვი





INTERESTING AND DIFFERENT

Location: Saburtalo district, Tbilisi

Area: 100 m²

Design this residential interior - designed by Tamar Kikaleishvili - are built up on the effect of pleasant unexpectedness. This area is determined in classical style, though original design compositions and accessories are distributed within the space in accordance with definite rules, by large defining the general character of the atmosphere. The interior is filled with an array of interesting themes, and this is the key creative principle underlying its design.

Photo by: RAPHO ARZUMANOV



ჟურნალი „სტილის“ სტუმარი ინტერიერის დიზაინერი



მე ვარ ნათელა ბალანი, სკოლა საქართველოში დავამთავრე, შემდგომ მოსკოვის პედაგოგიური ინსტიტუტის ფსიქოლოგიის ფაკულტეტზე ვსწავლობდი. 1998 წელს საცხოვრებლად ამერიკის შეერთებულ შტატებში გადავედით და ჩემს ოჯახთან ერთად ფლორიდაში დავსახლდი. აქ 2006

წელს წარჩინებით დავამთავრე „ფორტ ლაუდერდეის ხელოვნების ინსტიტუტის“- ინტერიერის დიზაინის ფაკულტეტი (www.artinstitutes.edu/fort-lauderdale). მსოფლიოში ცნობილი დიზაინერის ჯოზეფ ფავას ასისტენტად ვმუშაობდი. მოგვიანებით ჩემი კომპანია შევექმენი და ახლა უკვე მსხვილ კომპანიებთან 10 წლის თანამშრომლობა მაკავშირებს. ინტერიერის დიზაინერ-დეკორატორად ვმუშაობდი ფლორიდას შტატის რამდენიმე ქალაქში, ასევე ამერიკის სხვა შტატებსა და ევროპის ქვეყნებში. კომპანიები რომელთა პარტნიორიც ვარ მსოფლიო ბაზარზე წლებია მონივნავ პოზიციებს იკავებენ და ეს კავშირები ძალიან მნიშვნელოვანია. ფსიქოლოგიის ცოდნა ჩემს საქმიანობაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია. დამკვეთთან ურთიერთობისას, რამდენიმე შეკითხვის დასმის შემდეგ ჩემთვის უკვე ცნობილი ხდება რა ძირითადი კონცეფცია უნდა ჩაიდოს პროექტში, რომ ხაზი გაესვას დამკვეთის ინდივიდუალურობასა და დახვეწილობას.

პირველ რიგში სწორედ ამას ვასწავლი ახალგაზრდა ინტერიერის დიზაინერებს. ეს არის ჩვენი მთავარი დანიშნულება. ამოიცნო დამკვეთის სურვილები და შექმნას მის ინდივიდუალობას მორგებული ლამაზი გარემო. მთავარია მან ამ სივრცეში თავი კომფორტულად იგრძნობს.

მე საქართველოში კომპანია ვილა პარკის შეფ-დიზაინერი ვარ. შარშან სამხატვრო აკადემიის სტუდენტებისთვის გაცნობითი ხასიათის ლექციის წაკითხვა შემომთავაზეს. თანამედროვე ტექნოლოგიების, მასალებისა და მიდგომების მიმართ ახალგაზრდების დიდი ინტერესის გამო გადავწყვიტეთ ლექციები სისტემატიურად ჩაგვეტარებინა. ეს არის ჩვენი საჩუქარი ახალგაზრდებისთვის. ეს უფასო ლექციები სტუდენტებს საშუალებას აძლევს ფერების სწორად შერ-



ჩევიდან დანყებული, ოფისის თუ საცხოვრებელი ფართის პროექტით დამთავრებული იმუშაონ უახლეს კატალოგებთან, მასალებთან რომელიც ამერიკიდან ჩამომაქვს. ლექციები ძირითადად ინგლისურ ენაზე მიმდინარეობს რაც სტუდენტებისთვის ასევე მნიშვნელოვანია, რადგან თანამედროვე ტერმინოლოგიების გამოყენებით პროექტებზე მუშაობა, მათ საშუალებას მისცემს მომავალში თამამად აწარმოონ მოლაპარაკებები უცხოელ დამკვეთებთან.

ჩვენს ლექციებზე დასწრება ყველა უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტს შეუძლია, ვინც ინტერიერის დიზაინსა და არქიტექტურას სწავლობს. ამ ლექციებს არ აქვთ ჩვეულებრივი აკადემიური ფორმატი.

სტუდენტები სწავლობენ: ფერების ფსიქოლოგიას და ინტერიერში მის სწორი გამოყენებას; ფერების გავლენას ადამიანის ქცევაზე და განწყობაზე; დეკორატიული მასა-

ლის ტიპებს; შპალერის, სხვადასხვა მატერიის, ხის, ქვის, კერამიკისა და ხელოვნური მასალების თავისებურებებს; სტუდენტები ეცნობიან აქსესუარებსა და დეკორის უახლეს კატალოგებს

სწავლობენ ინტერიერის დიზაინის ფსიქოლოგიას. სტუდენტები გავლილი მასალების საფუძველზე ქმნიან პროექტებსა და ბიუჯეტს.

და ბოლოს, ხდება სტუდენტების დამოუკიდებლად შექმნილი პროექტის პრეზენტაცია.

ჩემი სურვილია რაც შეიძლება მეტი თავდაჯერებული ინტერიერის ახალგაზრდა დიზაინერი გვყავდეს საქართველოში. მომავალში ვფიქრობ როგორც, ფორტ ლაუდერდეის ხელოვნების ინსტიტუტის ელჩი, სათავეში ჩავუდგე საგრანტო პროგრამით სასწავლებლად ახალგაზრდების უცხოეთში გაშვებას.



INTERIOR DESIGNER

NATELA BALANI

Today Natela Balan works in Georgia too.

Natela's wish is that there are more confident young interior designers in Georgia

Get acquainted with Natela's „modest,, PROFESSIONAL SUMMARY

- OVER 10 YEARS OF EXPERIENCE IN HIGH END RESIDENTIAL DESIGN
- STRONG BACKGROUND IN PROJECT MANAGEMENT
- CONCEPTUALIZED AND ACCOMPLISHED SEVERAL MULTIMILLION - DOLLAR PROJECTS
- COMPLETED SEVERAL HOME STAGING FOR REAL ESTATE SALES
- DESIGNED AND ACCOMPLISHED INTERIOR DÉCOR PROJECTS THROUGHOUT USA, RUSSIA, GEORGIA
- WORKS DONE WITH WORLD RENOWNED COMPANIES SUCH AS BAKER, KRAVET, DONGHIA, INNOVATIONS, ARTERIORS, AMMON HICKSON, CYAN DESIGN, ROMO, AND MORE

WORK HISTORY

June 2016 – Current - Founder / Chief of Design Villa Park, Tbilisi, Georgia

- December 2007 – current - Principle Decorator of NB Décor (4900 North Ocean Blvd # 621. Fort Lauderdale, FL 33308) - Originated, developed, supervised and managed design concepts
- Planned and estimated budget for projects
- Enhance the function, safety and aesthetics of interior spaces
- Draw up floor plans and sketches
- Select lighting fixtures, flooring, wall coverings, hardware, fabrics, furniture, accessories and art for projects
- Interacted with design team members, including contractors, architects, consultants, fabricators and builders
- Coordinate work schedule

August 2006 – December 2007

Principle Designer Assistant of Fava Design Group (7636 NE 4th Court, Miami, FL 33138)

- Specified proper products and materials for each project
- Originated and developed creative design concepts
- Assisted in analyzing design objectives in accordance to client's needs
- Assisted designer with sample selection, sketches and boards

December 2005- August 2006

Designer Assistant of Judith Norman Collection, DCOTA (Design Center Of The Americas) 1885 Griffin Rd., Dania Beach, FL 33304

- Designed showroom layouts
- Facilitated requests regarding product information, installation methods and product upgrade options
- Furniture and accessories specification and classification


EDUCATION

2006 – Associate of Arts: Diploma Residential Design, CID The Art Institute, Fort Lauderdale, FL USA 33316

– Bachelor of Science: Children Developmental Psychology. Moscow State Pedagogical University



სივრცესთან ურთიერთქმედება



დიზაინერ მარიამ კაპანაძის (იგი, დიზაინის სფეროში ერთ-ერთი ავტორიტეტული შემოქმედია) ძიება, თავიდანვე სივრცის გასამდიდრებლად ვარგისი შემოქმედებითი გადაწყვეტის პოვნისკენ ლტოლვას ეფუძნება – გადაწყვეტისა, რომელიც, პირველ რიგში, „ეთიკურ“ ასპექტებზე დაყრდნობით, „საერთო ხელმისაწვდომობისა“ და „გამჭვირვალობის“ თვალსაზრისით ინტერიერის „გადახალისებას“ განაპირო-

ბებს. ავტორის დიზაინი გამოირჩევა მკვეთრი ხელნერით, სივრცე იზრდება განუმეორებლობითა და ავტონომიურობით. ინტერიერის თოთოეული ჰორიზონტალური თუ ვერტიკალური სიბრტყე თამამი, არაორდინალური დეკორაცი-აა, დიზაინერული კოლაჟია. ეს ეფექტი, მას, რა თქმა უნდა, განსაკუთრებულ ინდივიდუალურობას სძენს. ინტერიერის მთლიანობის შთაბეჭდილება ერთიანი კომპოზიციური გა-



დანყვეტით, ერთი სიბრტყიდან მეორეზე ფერის გადათამაშებით, მოცულობით-პლასტიკური გადაწყვეტებით, ხაზების, ფერის და ფიგურების დიალოგებითა და დიზაინერული რეფრენებითაა მიღწეული. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი

კი ინტერიერის მაქსიმალური გამჭვირვალობაა. ზოგან გამჭვირვალობა განსაკუთრებულ ქვეტექსტს წარმოშობს, რაც სივრცესთან ურთიერთქმედებისას ადამიანის მიერ მისი არსის აღქმასა და მასთან შერწყმასაც გულისხმობს.



INTERACT WITH SPACE



Advanced architectural forms of the design of Mariam Kapanadze far exceed the established stylistic borders – their constant transformation, „ability to communicate“ and transparency fill the interior with energy and emotion. Publicly accessible parts are seamlessly merged with the exterior.

Mariam Kapanadze's design is bold and original. Each horizontal and vertical plane of the interior is an ingenious decoration, a design collage. Individual quality of the interior is further highlighted by unusual harmony of its constituent parts, decorative elements and accessories, efficient application of daylight and artificial lighting, integral design composition, soft transitions of colors and dialogues of lines and figures.

And the most important feature of Kapanadze's design is its remarkably high transparency, which adds a mystical tinge to the interior and making the place look surprisingly ambiguous depending on how you move inside this space.


მარიამ კაპანაძე ამჟამად ამერიკაში მოღვაწეობს. იგი სწავლობს არქიტექტურას, პრაქტიკას ერთ-ერთ ფირმაში გადის და იღვწის იქაური ცნობადობა და სიმპათიები დაიმსახუროს. მარიამი, ასევე აქტიურად იღებს მონაწილეობას ნიუ-იორკის პრესტიჟულ გამოფენებში. 2018 წლის 27 აპრილს, ნიუ იორკში, ვოლსტრიტზე მსოფლიო სავაჭრო ცენტრის წინ მდებარე World Trade Gallery ში, საერთაშორისო გამოფენა - INTO THE HEART OF THE WORLD - გაიმართა, რომელში მონაწილე ქართველ ხელოვანთაგან ერთ-ერთი საინტერესო მონაწილე მარიამი იყო.

გამოფენა კომპანია Madatart მედეტარტის მიერ იქნა ორგანიზებული. როგორც გამოფენის კურატორმა მარიტა დამენიამ განაცხადა, მისმა კომპანიამ ნიუ იორკში უკვე ოცზე მეტი გამოფენა გააკეთა და ყველა მათგანმა წარმატებულად ჩაიარა, თუმცა ეს პირველი შემთხვევაა, როცა ქართული ხელოვნება ვოლსტრიტზე იქნება წარმოდგენილი.

Talented designer Mariam Kapanadze is currently working in America. She studies architecture and practice goes through one of the firms. She is actively involved in New York's prestigious exhibitions. On April 27, 2018, INTO THE HEART OF THE WORLD exhibition was held at World Trade Gallery in Wall Street, New York. She also participated in the exhibition with other Georgian artists. The exhibition was organized by the company Madatart. Curator of the exhibition was Marita Damenia. His company has made more than 20 exhibitions in New York and all of them have been successful. Her company has made more than 20 exhibitions in New York and all of them have been successful



Mariam Kapanadze with Marita Damenia



მდიდარი შემოქმედებითი სამყარო



სპეციალობით ვარ ინტერიერის დიზაინერი. დავამთავრე ქ. თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სამხატვრო აკადემია. საერთოდ მიყვარს მასალასთან უშუალო შეხება, ამიტომ მუდმივად ახლის ძიებაში თანდათანობით შევისწავლე ქართული ტრადიციული ნაქარგობა, კამეის კვეთა, ვერცხლზე მუშაობა და მინანქარი. მონაწილეობა მაქვს მიღებული თბილისის მოდის კვირეულში და "Be Next" კონკურსში, რომელიც ასევე მოდის დიზაინს ეხება. პარალელურად დაინტერესებული ვიყავი ძველი ავეჯის რესტავრაციით. საბოლოოდ კი, ჩემი დიზაინის ხის მასალაზე გადასატანად, საკუთარი ტექნოლოგია შევიმუშავე.

დაახლოებით ორი წლის წინ დავაფუძნე კომპანია „ჰოლდა“ და შევქმენი კოლექცია სადაც ძირითადი ყურადღება გავამახვილე ქართული სუფრის ახლებურ, თანამედროვე დიზაინზე. ინსპირაციისთვის ვიყენებ ქართული და აღმოსავ-



ლური კულტურის, დეკორის ელემენტების სინთეზს, რაც უხვად გვხვდება ძველი თბილისის არქიტექტურულ ნაგებობებში. დიდი სურვილი მაქვს უფრო მეტად განვაგრძო ეს თემა, ამიტომ ვიკვლევ ქსოვილთან მუშაობის სხვადასხვა ტექნოლოგიას. ამჟამად ვეუფლები ახალ პროფესიას, ვსწავლობ კერამიკას, დიზაინის ფაკულტეტზე. „ჰოლდა“-ს კოლექციას მალე შეემატება კერამიკული ჭურჭელი და ინტერიერისთვის განკუთვნილი კერამიკული აქსესუარები.

ქრისტინე ძაგნიძე



ქრისტინე ძაგნიძის შემოქმედებაში დიზაინი განუწყვეტლივ მოძრაობაშია, სრულყოფის პროცესშია. სტილი და ფორმა ერთმანეთს სწრაფად და მოულოდნელად ცვლის. დიზაინერი უჩვეულო ფორმის მოდელების შექმნით, მათი დიზაინის პროექტირებას ხელოვნების ცალკე სფეროდ გამოყოფს. ქრისტინეს ნამუშევრები მომხიბვლელია ოსტატობის ხარისხით და პიროვნულობის ნიშნითაა აღბეჭდილი. დიზაინერმა თანამედროვე ხელოვნების კლასიკური საფუძვლების აღქმითა და მათი ემოციურ პრიზმაში გატარებით, საკუთარი გაცნობიერებული შემოქმედებითი სახე წარმოაჩინა მრავალფეროვნებაში. ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, საქმისადმი შემოქმედებითი, სკურპულოზური მიდგომით, კომპოზიციების უჩვეულო, პირობითი თუ კონკრეტული თემები სამუშაო სიბრტყიდან სხვადასხვა სტატიკურ და დინამიკურ სისტემად გამოვლიანებულ მოცულობებად გარდაიქმნება. ქრისტინე ძაგნიძის მიერ შექმნილი შემოქმედებითი სამყარო მდიდარი და პოეტურია.

ნინო ლალიძე



RICH CREATIVE WORLD



Design accessories are efficient key points, providing logical finishing to architectural compositions - quite often, their form and volume determine overall interior and exterior design. Philosophy of this natural element, implying speed motion in any of their diverse forms, suggests creative ideas and plays an important role in creation of the best samples of modern design. In this regard, activities of artist Kristine Dzagnidze, who strives to express his unusual design ideas, appear diverse and original. Kristine Dzagnidze's works are marked with high performance skill and individuality, reflecting both the author's inner world and the taste of the person ordering this or that particular design. His art integrates classical background of modern art and his own emotional self into unforgettably colorful personal style, leaving an indelible impression on the onlookers.

NINO LAGHIDZE



ცებული, შთაგონებული და თიხაში მკლავებდაკაპინებული არქიტექტორები. (ზოგი მათგანი პირველად შეეხო თიხას)) და – კიდევ უამრავი სხვა ნიუანსი იმ ქართველი და უცხოელი არქიტექტორების და დიზაინერების შემოქმედებითი შედეგებისა, რომლებმაც არქიტექტურული სივრცისათვის მშენიერი და მოულოდნელი კერამიკული დიზაინი შექმნეს.

მხატვარ ნინო ფერადის უნიკალური ფოტოკოლაჟი, გარიყულაში, იას და ოთარის საერთაშორისო კერამიკის ცენტრში - Artists Residence in Garikula - ში - ქართველი და უცხოელი არქიტექტორების ნაკეთობების გამოფენას ასახავს.

საერთაშორისო პროექტი „Architextura“ ორ თვეზე მეტ ხანს გრძელდებოდა. ან პერიოდში, იდეის ავტორებისგან, არქიტექტორებმა და დიზაინერებმა საჭირო პროფესიული რჩევები, კონსულტაციები და სამუშაო მასალა - თიხა - მიიღეს. ნაკეთობების გამოწვა, კონსტრუირება თუ დაფერვაც ოთარ ვეფხვაძესთან - „მხატვრების სახლში“ - მოხდა.

საერთაშორისო პროექტი - „Architextura“ - უნიკალურია იმ თვალსაზრისით, რომ საქართველოში პირველად განხორციელდა, მამინ როდესაც დღეს, მსოფლიო თანამედროვე არქიტექტურის და ინტერიერის დიზაინის პრაქტიკაში ჯეროვანი ყურადღება



ეთმობა არქიტექტურულ კერამიკას. ამიტომაც ეს გამოფენა მნიშვნელოვანი განაცხადია თანამედროვე ქართული დიზაინის სფეროში.

საერთაშორისო პროექტის - „Architextura“ - მხარდამჭერი გახლდათ კომპანია „აგროპაბი“. ამავე პროექტის ფარგლებში მზადდება სპეციალური კატალოგი, სადაც განთავსდება როგორც საგამოფენო ექსპოზიციები, ინფორმაცია პროექტის ავტორების და მონაწილეთა შესახებ, ასევე პროექტის განხორციელების ეტაპების ამსახველი ფოტორეპორტაჟები. პროექტი გრძელდება და მომავალ წელს, თავისი მნიშვნელობის შესაბამის, უფრო მასშტაბურ დატვირთვას შეიძენს.



ARCHITEXTURA

International ceramic exhibition
Organizers and project authors:
Ia Gigoshvili, Otar Vepkhvadze
Supporter: Agro hub
Photo by: Artist Nino Peradze

Exhibition was held in „Artists Residence in Garikula “ 2-3 of July 2018.

The georgian and dach architects first time created ceramic artworks.

„Architextura“ - exhibits various views on artistic and functional modern architectural ceramics, with the goal of projecting the current status and future potentials of the material. Under the main title „Architextura“ the exhibition is present original creative artworks, home decoration items, or individual artworks. with environment-friendly architectural ceramic materials.

As a result of excellent cooperation of interior designers, and curators - Ia Gigoshvili and Otar Vepkhvadze - the modern architectural ceramic exhibition



will be a challenge and inspiration to the georgian and dach architects desperately looking for new ideas, and the audience in general who are concerned about the environment.

Architectural Ceramics: Art into art - features many original artworks that were created by architects from different fields. As modern architectural ceramics is the underestimated and „infra-mince“ field that is familiar to all people's daily lives, the architects and designers successfully presented unique works with new structure and form of the latest trends with the newest perspectives.

As Architectural Ceramics: Art into art - mainly focuses on familiar materials like modern architectural ceramic materials, and this must at letting all non-expert audience enjoy and understand the exhibition well. Hope that, the audience will have a great chance encountering new cultural values and art fields, through the artworks of aesthetic value.

JINO JEY



ხატე საქართველოსთვის

PAINT FOR GEORGIA



მაჯამებელი გამოფენა ქალაქ მცხეთის ცენტრალურ სკვერში.

სიამაყით უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენმა ფესტივალმა სახელი გაითქვა, არა მარტო ჩვენი ქვეყნის მასშტაბით და მასში მონაწილეობის სურვილს სულ უფრო მეტი და მეტი უცხოელი მხატვარი გამოთქვამს.

ძალიან დიდი პლუსია, ის, რომ მხატვრები ფესტივალის მიმდინარეობისას, ხატვის და ურთიერთობისას, ერთმანეთს ვუზიარებთ ჩვენს დაგროვილ ცოდნა-გამოცდილებას. ასევე, ზოგადად, საქმის კურსში ვართ და ვიგებთ მონაწილე მხატვრების ქვეყნებში სამხატვრო სფეროში არსებულ ტენდენციებს, სიახლეებს, რაც მთლიანობაში ჩვენს წინსვლას უწყობს ხელს.

ფესტივალს უამრავი უპირატესობა გააჩნია და რაც მთავარია არის ტრადიციული. ხოლო ჩვენ კი ერთუზიანობა არ გვინდოდა და მუდმივად ვართ მისი ზრდისა და განვითარების შემოქმედნი და მომხრეებიც.

განსაკუთრებით უნდა აღვნიშნო, რომ ეს ფესტივალი არ შედგებოდა იმ სპონსორების მხარდაჭერის გარეშე, რომელიც ყოველ წელს გვყავს. ფესტივალის - „ხატე საქართველოსთვის“ - ტრადიციული და მუდმივი მხარდაჭერი და სპონსორი კი ქალაქ მცხეთის მუნიციპალიტეტის მერია გახლავთ. იქ მომუშავე საუკეთესო ადამიანები მუდმივად, ერთგულად გვიჭერენ მხარს და გვერდში გვიდგანან. განსაკუთრებით მსურს აღვნიშნო ქალაქ მცხეთის ყოფილი და ახლანდელი მერების, პერსონა-

ლურად კი ქალაქ მცხეთის ვიცე-მერის, ქალბატონ მარინა ზურაბიშვილის ღვაწლი წლევანდელი და გასული წლების ფესტივალების წარმატებით განხორციელებაში - რომ არა მისი თანადგომა, ჩვენს ფესტივალს არ ენერა განხორციელება, რისთვისაც პირადად ქალბატონ მარინა ზურაბიშვილს, და ასევე, მერიის ყველა თანამშრომელს კიდევ ერთხელ დიდ მადლობას ვუხდით თქვენი ჟურნალის მეშვეობით.

ჩვენი ფესტივალის კიდევ ერთი უპირატესობაა, ის რომ ფესტივალის დასრულების შემდეგ უცხოელი მხატვრების ნამუშევრები, რომელთა წარმატებების შესახებ უტყუარ ინფორმაციას ვფლობ, რჩება საქართველოში, - ხდება კონკრეტული კომპანიისა თუ მუნიციპალიტეტის საკუთრება, ზოგადად კი ჩვენი ქვეყნის საკუთრება.

წლევანდელ ფესტივალში მონაწილეები გვყავდნენ იორდანიიდან, ირანიდან, ბაჰრეინიდან, რუსეთიდან, ასევე საქართველოდან, ძალიან კარგი მხატვრები - ანუკა მინდიაშვილი და მზია სვიანიძე. მათთან ერთად მეც ვხატავდი და ჩართული ვიყავი შემოქმედებით პროცესში. შედგა ძალიან კარგი ჯგუფი, და დარწმუნებული ვარ, არა ერთი მათგანი კვლავ ჩამოვა საქართველოში ჩვენს მიერ ორგანიზებულ ფესტივალში მონაწილეობის მისაღებად.

გიორგი ტაბლიაშვილი
მხატვარი, საერთაშორისო ფესტივალის - „ხატე საქართველოსთვის“ დამფუძნებელი



Final exhibition of international art festival „Paint For Georgia“.

On the exhibition exposed the paintings of participant artists, which were created during the workshops.

Participant artists of 2018 festival are: Irina Averinos – Jordan; Nadia Aljar – Bahrain; Kostya August – Russia; Mzia Svianidze – Georgia; Anuka MIndiashvili – Georgia; Eliza Salman – Jordan; Golara Tavakolyan – Iran; Evgeniia Telnykh – Russia; Giorgi Tabliashvili - Georgia

The genesis of Paint for Georgia, was in Tbilisi, Georgia in 2013. Giorgi Tabliashvili (known, Georgian painter, illustrator and designer from Tbilisi) and Irakli Tabliashvili (George's brother - known and respected journalist and broadcaster) created an international art project that used the concept of migration (of people and venue) to extend cultural, artistic and personal borders. It was established as a network of artists and cultural organizations

across Europe, Caucasus and Central Asia. This initiative is based on public artistic process and concentrates on interpersonal and social communication. This year, 2018, they hosted artists from Jordan; Bahrain; Russia; Iran; Georgia.

Special thanks to Traditional and permanent supporter and sponsor of international Festival Paint For Georgia - Mrs. Marina Zurabishvili, Vice-Mayor of Mtskheta and Mtskheta City Hall.





წარმოგიდგინთ წლებიდანდელი ფესტივალის მონაწილე რამდენიმე მხატვრის შთაბეჭდილებას:

Present you the impressions of several artists participating in this year's festival.

ანუკა მინდიასვილი - მხატვარი, საქართველო

ANUKA MINDIASHVILI - artist, Georgia

ამ ფესტივალის ფარგლებში შექმნილი თითქმის ყველა ტილო, აშკარად ასხივებდა იმ ენერჯის, პოლიფონიურობასა და სინათლეს, რომლის მატარებელიცაა ჩვენი სამშობლო. დიდი მადლობა ფესტივალის ორგანიზატორებს, რომლებმაც ყველა პირობა შეგვიქმნეს კომფორტული მუშაობისათვის და იმისთვის, რომ საქართველო უცხოელი მხატვრების ხსოვნაში „მარადიულ დღესასწაულად“ დარჩენილიყო!

Almost all the canvas created within the festival, clearly express energy, polyphony and light, which owned by our

homeland. I think Georgia is „Eternal holiday“ In memory of foreign artists.

ირინა აპერინოსი. მხატვარი. ბაჰრეინის სამეფო.

IRINA AVERINOS – Artist, Kingdom of Bahrain

აქ შევხვდი შესანიშნავ ადამიანებს, ვესტუმრე არა ერთ ულამაზეს ადგილს, შევიძინე მეგობრები, დავაგემოვნე უგემრიელესი ქართული კერძები - ეს იყო სრულიად არაჩვეულებრივი გამოცდილება.

კულტურულმა ტურებმა მცხეთაში, ჯვარზე, უფლისციხესა და თბილისში მოგვცა არაჩვეულებრივი ინსპირაციები იმისათვის, რომ ჩვენს ნახატებში საქართველოსადმი დიდი სიყვარული ჩაგვექსოვა.

ჩვენს მიმართ გამოჩენილი დიდი ყურადღებისა და ფესტივალის მხარდაჭერისთვის განსაკუთრებულ მადლობას ვუხდით მცხეთის მერიას.

Here I met wonderful people, I visit the most beautiful places, I bought friends, I taste delicious

Georgian dishes. It was a very unusual experience. Special thanks to Mtskheta City Hall

ელიზა სალმანი
მხატვარი და არქიტექტორი
იორდანის ჰაშემიტური სამეფო.

ELIZA SALMAN – Artist and architect. The Hashemite Kingdom of Jordan.

არტ ფესტივალმა შეგვძინა ძალიან ძვირფასი და სასოსოვარი გამოცდილებები. და დიდი შთაგონებით აგვავსო. ჩვენთვის დიდი პატივი იყო, რომ ფესტივალი საქართველოს დამოუკიდებლობის 100 წლის თავს მიეძღვნა და მართლაც ძალიან შევეცადეთ, რომ ამ ქვეყანაში მიღებული დადებითი ემოციებით სწორედ საქართველოსთვის დაგვეხატა!

The Art Festival has given us a lot of valuable and joyful experiences and with great inspiration. It was a great honor for us, that the festival was dedicated to 100 years of independence of Georgia. We tried very positive emotions transmitted to our creations.



„წლის სიმღერის“ ტიტულის მფლობელი „ოქროს ტალღის“ გამარჯვებულები



„ოქროს ტალღას“ 2018 ახლახან დასრულდა. დიდ საკონცერტო დარბაზში მუსიკის და ემოციების დიდი ზეიმი შედგა. გამოვლიდნენ 15 ნომინაციაში გამარჯვებულები, მათ შორის, მთავარი, წლის სიმღერის ტიტული ბოლოს გამოცხადდა და „ოქროს ტალღა“ ნოდუკო ტატიშვილმა და სალომე ბაკურაძემ დაისაკუთრეს მთავარი ნომინაციისთვის.

15 ნომინაციიდან 14 კომპეტენტურმა ჟიურიმ ფარული კენჭისყრით გამოავლინა, მეტხუთმეტე ინტერნეტრჩეულის გამარჯვებული კი „ოქროს ტალღის“ საიტზე ხმის მიცემის წესით დასახელდა და ის გიგი ადამაშვილი გახდა.

საქართველოს ეროვნული სიმფონიური ორკესტრი, ნიკოლოზ რაჭველთან ერთად, ნანო ბრეგვაძე, ეკა მამალაძე, ნატალია ქუთათელაძე, სტეფანე, ნინო ქათამაძე, სოფო ნიჟარაძე, „შვიდეკაცა“ და ნინა სულატი აუდიტორიის წინაშე შესანიშნავი ქართული კომპოზიციებით წარდგნენ.

სალამო დაამშვენა „გრემის“ ორგზის მფლობელმა ამერიკელმა შემსრულებელმა, ლიზა ფიშერმა, რომელიც „ოქროს ტალღის“ სპეციალური სტუმარი გახლდათ და ღონისძიებისთვის ჩამოფრინდა საქართველოში. მან რამდენიმე კომპოზიცია ორკესტრთან ერთად შეასრულა...

„ოქროს ტალღა“ ზუსტად ერთი წლით გვემშვიდობება, მანამდე კი ვნახოთ გამარჯვებულთა სრული ჩამონათვალი:

წლის დებიუტი : B17 და ლევან ბეიტრიშვილი – „იმიტომ რომ“ (სიმღერა და ტექსტი: ლევან ბეიტრიშვილი)

წლის დუეტი: ვერიკო ტურაშვილი და თემო საჯაია – „თოვს“ (კომპოზიტორი და ტექსტი: თემო საჯაია)

წლის რიმიეიქი, ანუ ახალი ვერსია: ლელა წურწუშია და გიორგი მახარაშვილი – „რა კარგი ხარ სიყვა-



რულო“ (კომპოზიტორი: გოგი ცაბაძე / ტექსტი: მორის ფოცხიშვილი)

წლის ჯგუფი და ანსამბლი: ანსაბლი“ თეატრალურის კვარტეტი“ – ნერილი (კომპოზიტორი: ჯემალ სეფიაშვილი / ლექსი: პაატა ნაცვლიშვილი)

წლის საუკეთესო ქალაქური სიმღერა: ლაშა ლლონტი – „შენ რომ დიდი იქნები“ (კომპოზიტორი: მამუკა ჩარკვიანი / ლექსი: ჯანსუღ ჩარკვიანი)

ინტერნეტრჩეული – გიგი ადამაშვილი – ქარი ქრის (კომპოზიტორი და ტექსტი: ნატო ლოლობერიძე)

წლის მუსიკალური ტელეროექტი: „მხოლოდ ქართული“, სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი 2“

მუსიკალური პროდიუსინგი: გიორგი კერესელიძე, „ისტერნ პრომოუშენსი“

ქართული მუსიკის პოპულარიზაცია ქვეყნის ფარგლებს გარეთ: ქეთი მელუა და „გორის ქალთა კამერული გუნდი“

რადიოპოლდინგ „ფორტუნას“ რჩეული – სტეფანე ტელეკომპანია Music Box-ის რჩეული – ვერიკო ტურაშვილი და თემო საჯაია – „თოვს“

მუსიკის განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილი – გიო ხუციშვილი

წლის საუკეთესო მომღერალი მამაკაცი – თემურ თათარაშვილი – „გული ადამიანობს“ (კომპოზიტორი და ტექსტი: ცირა ბზიშვილი)

წლის საუკეთესო მომღერალი ქალი – სოფო ნიჟარაძე – „მე საიდუმლოს შენახავ ვიცი“ (კომპოზიტორი: გოგი ცაბაძე / ტექსტი: მორის ფოცხიშვილი)

წლის სიმღერა – ნოდუკო ტატიშვილი და სალომე ბაკურაძე – „ერთხელ წვიმიან ქალაქში“ (კომპოზიტორი: ლილიკო ნემსაძე / ტექსტი: ირინა სანიკიძე)





ღონისძიების მხარდამჭერი:
თბილისის მერია და საქართველოს ეროვნული სიმფონიური ორკესტრი

გენერალური სპონსორი:
„თეგეტა მოტორსი“

გენერალური პარტნიორი:
არტისტი იუნიონ „კონცეპტ არტი“

ინტერნეტსპონსორი:
დეველოპერული კომპანია „m² უძრავი ქონება“

სპონსორი: ავეჯის ცენტრი „პანორამა და კლასიკა“

ოფიციალური გადამყვანი:
„თურქიშ ეარლაინსი“

„ოქროს ტალღის“ ოფიციალური მზღვეველი:

სადაზღვევო კომპანია „ალდაგი“

პროექტის მასპინძელი:
სასტუმროების ქსელი „ამბასადორი“

პროექტის პარტნიორები: „ომეგა ემბეერი“, „ნატალი ჯგუფი“, „ახალი ნათება“, tkt.ge, ლაუნჯ-რესტორანი „დღოსი“.

საინფორმაციო მხარდაჭერა:
„რუსთავი 2“, „იბერია“, „პირველი არხი“, „იმედი“, „ტვ1“, „მიუზიკბოქსი“, „პალიტრა ტვ“

